№ 59 28 მაისი, ოთხშაბათი 1866—1875 28 მაისი, ოთხშაბათი № 59

რედაქცია

მოლნინის (აბას-აბათის) მეედანზე, ულორლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციფროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

—

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

წიგნების გავრცელება

—

წიგნის გამომცემელი, რომელიმე წიგნის დაბეჭდვის დროს, ყველაზე პირველად, რასაკვირველია, უნდა ცდილობდეს, რომ წიგნი საინტერესო, ადვილად გასაგები და სასარგებლო იყოს იმ საზოგადოებისათვის, რომლისთვისაც ის იბეჭდება.

ამას გარდა, ვისაც უნდა, რომ წიგნი გავრცელდეს, ორს აუცილებელ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება: ერთი რომ წიგნი იაფი იყოს, რადგან ძვირი წიგნის ყიდვას, არათუ ჩვენში—სხვაგანაც ყოველთვის ძვირი ტანთ-საცმელის ყიდვასა დახორციელ ქვეყს აჭაობინებენ,—და მეორეც ისა, რომ ყოველი წიგნი ისე უნდა იყოს სხვა და სხვა დიდ და პატარა ქალაქებში გაფენტული, რომ იმის მოპოება და ყიდვა ყველას ადვილებოდეს.

როგორც წინათ ვსთქვით, კარგა ბლომათ იბეჭდება და გამოდის ჩვენში ახლა ქართული წიგნები; და არათუ გამოდის, საღდება და იყიდება კიდეცა. მაგრამ გასაკვირველი ეს არის, რომ თითქმის ყველა გამომცემლები ამას ამბობენ: ჩემი წიგნი კი გაიყიდა, ერთი ეგზემპლიარიც აღარ იპოებაო, მაგრამ რა! მეოთხედი ფულიც არ მომიგროვებიაო. რაც დამიჯდა, იმის ნახევარიც არ შემოსულაო.

და ეს სრული ჭეშმარიტებაა. მართლაც, წიგნები გამოდის, იყიდება და გამომცემელი ფულს კი ვერა ჰხედავს.

ამის მიზეზი ის გარემოება გახლავთ. რომ გამომცემლებს წიგნის გაყიდვის საქმე ხეირიანათ ვერ მოუთავსებიათ. გამოსცემენ თუ არა წიგნს, ზოგ წილს აქაურს წიგნის მაღაზიებში აბარებენ კომისიით გასასყიდათ, დანარჩენს ქუთაისში და სხვა საქართველოს ქალაქებში აგზავნიან ან დუქნებში და ან კერძო პირებთან.

გადის ერთი თვე, ორი თვე. გამომცემელი ჩამოუვლის წიგნის მაღაზიებს და ეკითხება: როგორ მიდის ჩემი წიგნის გაყიდვაო? შეიძლება ფული მივიღო იმის, რაც გაყიდულაო? მაღაზიაში თითქმის მუდამ ეუბნებიან, რომ ისყიდებაო, მაგრამ რადგან ჯერ სულ არ გაყიდულა და ანგარიში არ გაგვისწორებია, ფულის მიცემა ვერ შეიძლებაო. ახლა პროვინციებში ჰვზავნის წიგნებს და ფულებს თხოულობს. იქიდამაც ისევ პასუხი მოდის. ციდევ ორი-სამი თვის შემდეგ ჩამოიარის მაღაზიებს, ჰგზავნის წიგნებს სხვა ქალაქებში და კიდევ იმ გვარიეე პასუხი მოსდის. ან დღეს არ შეიძლება ფულის მიღება, მალე გაგისწორდებითო.. ასე რომ ნახევარი, ერთი წლის განმავალობაში მესამედ ფულსაც ვერ ჩაიგდებს ხელში და ხშირად წიგნი კი თითქმის სრულიად გაიყიდა.

ეს გარემოება ფრთებს ჰკვეთავს, ხალხსა უკარგავს წიგნის გამომცემელს და ის გამოცემას ანებებს თავს, რადგან იმდენი შეძლება არა აქვს, რომ ყოველ გამოცემას თავისი ფული დაადვას.

ამ ჟამად იხსნება ჩვენს ქალაქში ერთი წიგნის მაღაზია, რომელიც, თუ კარგათ, ენერგიულად წაიყვანს საქმეს, ძალიან შემწეობას მისცემს ამ შემთხვევაში ქართული წიგნების გამომცემელთა. ჩვენ ვამბობთ უფ. ეპ. ქალანდაძის წიგნის მაღაზიაზე.

ეს მაღაზია თვითონ ჰკისრულობს ყველა ქართული წიგნების გავრცელებას. იმას ექნება ანგარიში ყველა ქალაქის მაღაზიებთან და პროვინციალურ აგენტებთან, რომელნიც ქართული წიგნების გაყიდვას კისრულობენ. ეს იქნება ცენტრალური მაღაზია, საიდამაც ყველა მხრიდამ შეიძლება ქართული წიგნების დაბარება. მეორეს მხრით, წიგნების გამომცემლებსაც შეუძლიანთ მხოლოდ ამ მაღაზისთან იქონიონ ანგარიში და დაიჭირონ საქმე.

ეს არის ორიოდე სიტყვით გამოთქმული მიზანი უფ. ქალანდაძის წიგნის მაღაზიისა და თუ იმან ეს მიზანი რიგიანათ აასრულა, ცოტა სამსახურს კი არ გაუწევს ქართულ მწიგნობრობას. მაშინ ყველა გამომცემელი დაიმედებული იქნება, რომ იმის წიგნი გასაღდება, ფულები არ დაეკარგება და მით უფრო ადვილად შეუძლიან მეორე, მესამე და საზოგადოთ სხვა წიგნების გამოცემა.

ერთი შეხედვით ეს წერიმალი გარემოებაა; მაგრამ გამოცდილებით ვიცით, რომ ამ წერიმალ გარემოებას კარგა დიდი და მავნებელი ზედმოქმედება აქვს ჩვენს ნორჩს მწიგნობრობაზედ.

ს. მესხი

დღიური

□ გასული წლის ოქტომბერში ფინანსთ მინისტრისაგან დამტკიცდა ქ. ფოთში იმ საზოგადოების განყოფილება, რომელსაც ჰქვიან სახელად „საეკონომიო ზღვაში მოგზაურობის დამხმარებელი რუსეთის საზოგადოება“ და რომლის მიზანი, როგორც ამ სახელიდამა სჩანს, ის არის, რომ თუ საეკონომიო და ზღვის შკოლების გახსნითა, თუ ხომალდების გაუმჯობესობითა და თუ სხვა ამგვარი საშუალებით დაეხმაროს რუსეთის ზღვის ეკონომიას. ამ საზოგადოების განყოფილების თავს-მჯდომარესაგან, უფ. ფილადელფინისაგან მივიღეთ ჩვენ წიგნი, რომელშიაც გვთხოვს, რომ იმის პროტოკოლების დაბეჭდვითა და საზოგადოთ ჩვენს გაზეთში გამოცხადებით დაეხმაროთ საზოგადოების მიზანს. ვწუხვართ, რომ ამავე ნომერში, უადგილობის გამო, ვერ ვასრულებთ ამ თხოვნას...

□ ახალგორის სოფლის საზოგადოებას შეუდგენია გადაწყვეტილება, რომ ჩვენს სოფელში ფელშარი

ფელტონი

შვიდ-მაისობა ქართველებში

—

აი ერთი იმ ჩვეულებათაგანი, რომელიც ცხადათ გვიხატავს ჩვენი ხალხის ცხოვრებასა და ბუნების ხასიათს!

პირველს მაისს, ზოგჯერ უფრო ადრეც, ქართველების ყველა წლოვანობის ტოლ-ტოლი ქალები—რვა წლიდგან ვიდრე ორმოცდა ათ წლამდე—შეიკრიბებიან ერთად და იწყებენ სოფელში კომლეულად სიარულს „ლაზარეზედ“, როგორც თვითონ უწოდებენ. ამ სიარულის მიზეზი ის არის, რომ მაისში და ზოგჯერ აპრილში საქართველოში იშვიათი არ არის უწვიმობა, რომელიც აოხრებს ყანებს და საძოვარ ბალახს. ამ უბედურების ასაცილებლად ქალები დაიარებიან სოფლიდან-სოფლად და ევედრებიან ღმერთს, რომ წვიმა მოსცეს ქვეყანას.

დედაკაცები გააკეთებენ უბრალოხის ჯვარს და ჩაცმევენ პატარა ბავშვის ძველ ტანისამოსს. ამ ჯვარს, რომელიც ყოველთვის გაწუწულია წყალში, ეძახიან საკუთრად „ლაზარეს“. ზოგჯერ ღვთის მშობლის ხატიც დააქვსთ თან.

სადაც კი ოჯახი დახვდებათ, მივლენ ყველანი, დადგებიან დერეფნის წინ ხროვათ და იმღერიან წყნარად ამ მშვენიერს, სწორეთ ქართველურს კილოზედ ლექს:

ეს ლაზარე, ლაზარე!
ლაზარ მოდგა ყარსა;
მიდგა მოდგა თარსა,
დაემსგავსა მთვარესა!
ხელი ჩაუო ქილასა,
ერბო დასდო პინასა.
ცხავი აცხავებულა,
წვიმა გაჩქარებულა!
აბა, წმინდა ელია!
რასა მოგიწყენია?
თეთრი ფურის მხარბეჭი
შენთვის მოგვირთმევია!
შენ მოიყვან წვიმასა,
ჩვენ დაგიკლამთ ციკანსა!
აღარ გვინდა გორახი,
ღმერთო, მოგვე ტალახი!
ოჩოლობეებსა ტალახი,
მინდორს კარგი ბალახი!
ეს ელია, ელია,
ღრუბელთ წინამძღვარია!
ღმერთო, შენ გადმოხედე
„საქრისტიანოსაო!“

მეტის მეტი სასიამოვნოა ამ ლექსის სიმღერის მოსმენა.

როდესაც ამ ლექსის სიმღერას გაათავებენ, ოჯახის მეპატრონე გამოუტანს ღვინოს, პურს და სხ. კუჭას დასაშოშმინებელს მასალებს.

ამ დროს ერთი ვინმე ოჯახისაგანი აიტანს ჩაფით წყალს ერდოზედ და უცებ გადმოუშვებს მომღერალს დედაკაცებს, რომელნიც გაიფანტებიან წივილ-კივილით!—„უი, ქა! ქა! შენ გენაცვალე, ღმერთო! ერთი შენი მადლიანი წვიმითაც გაგვწუწე ესრე და როგორს სამლთოს მოგიხერხებთ, ნახავ!“ ოჯახის პატრონი გამოუტანს ფქვილს, რამდენიც ჰსურს, და ჩაუყრის ტომარაში, რომელიც საკუთრად ამისთვის დაუქვს ერთს დაქირავებულს კაცს. დედაკაცები თითქმის ყოველთვის მთერალები არიან სიარულის დროს.

ამნაირად ერთს კვირას დაიარებიან და ოცს, ოც-და-ათამდე სოფელს მოუვლიან ხოლმე ზოგჯერ. მოგროვილს ფქვილს გაჰყიდიან და სხვა ნაშოვნს ფულთან იყიდიან ცხვრებს, ციკანს, ორ-სამ კოკა ღვინოს, ბრინჯს (უშილაფლაეოთ ხომ არ შეიძლება სამლთო) და სხვ. თუ რამდენს მოაგროვებენ ფქვილს დედაკაცები, ამას იმით მიეხვედებით, რომ შარშან „შვიდ-მაისობას“ თექვსმეტი კოდი (კოდი ოთხი ფუთი და ექვსი გირვანქაა მოეგროვებიათ ს. ჭალის დედაკაცებს.

მაისის შვიდს გადიხდიან სამლთოს. ამ დღეს მთელი სოფლის ღარიბი და ობოლი დაპატიჟებული არიან სამლთოში. სუდია—მამასახლისი თავისი ყვითელი ძეწკვით შებმულის ნიშნებით ასრულებენ დედაკაცების სამლთოს შემკულობას. მღვდლებსაც თეთრს აბაზებს გაუგზავნიან საწირავათ და ამით ასრულებენ სამლთოსადმი მზადებას.

დედაკაცები კაკლის ქვეშ გაშლილ

დავიქირავოთო. სოფ. მუხრავანის საზოგადოებას კი აფთიაქისა და სასოფლო შკოლის გახსნა გადაუწყვეტია. ორიენ განჩინება ამ ჟამად მთავრობასთან არის წარდგენილი, რომელიც, უეჭველია, ამ სასარგებლო საქმის აღსრულებაში არაფერს დაბრკოლებას არ ნახავს.

□ უფ. თეოფ. ქანდელაკი გვწერს, რომ მაისის 20-ს რკინის გზის მაშინა მოვიდა ბორშიო და დანიშნულ ვადაზე ქალაქისაკენ უნდა წასულიყოო. მაგრამ მაშინისტი თურმე სადღაც წავიდა და უკან აღარ მობრუნდა. ბევრი იკივლა მშობიარე ქალიერთ ლოკომოტივმაო, მაგრამ მაშინისტი მაინც არსად გაჩნდაო. ბათენებისას გამოვიდნენ, ბორში მოიკითხესო და ნახეს, რომ პოლიციაში იჯდაო. თურმე რაღაც საქმისთვის გამოვიდა ქალაქში, სტაცეს ხელი და დაიჭირესო..

□ შორაპნიდამ გვწერენ, რომ აქაური მცხოვრებლები ძალიან მოწადინებულნი არიანო, რომ ჩვენს ქალაქში ბატალიონი დააყენონ. ადგილს მუქთად აძლევენ კაზარმების ასაშენებლად, ოღონდ ჯარი დაგვიყენეთ და მით ჩვენი ვაჭრობა გააცოცხლეთოო....

□ გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ყველა სასოფლო შკოლების მასწავლებლები, რომელთაც აქაურ ალექსანდრეს სამასწავლებლო სემინარიაში სწავლა შეუსრულებიათ და აგრეთვე ყველანი ვინც „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების“ შკოლებში მსახურებენ, ათი წლის სამსახურის შემდეგ მეთოთხმეტე კლასის ჩინზე შეიძლება წარადგინონ.

□ ოძისის სასოფლო ბანკის წევრთა ერთხმათ გადაუწყვეტიათ, და დეპუტაციის ხელით გაუგზავნიათ ვაზათ. ზაქარია ბიორგის ძის ერისთვისთვის, რომელმაც ამ პირველი სასოფლო ბანკის დაარსებაში ამდენი შრომა და ღვაწლი გამოიჩინა.

„დროების“ კორესპონდენცია

—

ქახეთიდგან, 20 მაისს

(დასასრული)

სხვათა შორის, ერთი ქველის საქმეც მომხდარა კახელებთათვის: მე ვამბობ სიღნაღიდგან თელავამდის შოსე გზის გაყვანაზე. ეს ძრიელ საჭირველო რამ არის სოფლელ ხალხისთვის.

მაგრამ ახლა ისიც ვსთქვათ, თუ რა ნაირად წარმოობდა ანუ კიდევ წარმოობს ამ გზაზედ მუშაობა: გლეხები ხომ ასრულებდნენ თავიანთ ხვედრ სამუშაოს, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ამ თითქმის შიმშილობაში ძალიან შეავიწროეს გლეხები ამ გზის იასაულებმა; საცა კი ვისმეს ყნოსვით შეაგულებდნენ: პურსა, ღვინოსა, ქათამსა, ინდაურსა, ბატსა და სხვათა ამ გვარ სანუკველთა, შემოესეოდნენ თურმე იასაულები და იკლებდნენ ხოლმე მთელს სოფელს. ასე გასინჯეთ, ერთი ვიღაც იასაული თურმე რო შემოსულის სოფელს, დიდი და პატარა შიშისაგან დაიყვირებენ: მოვიდა მეჭეჭიანი ივანიკაო! და როგორც გინახამთ კრუხ ჭუჭულა ძერასაგან მიმალული, ისე მიიმალებიან ხოლმე ქოხებში. ამისთანა პურის სიძვირეში უკანასკნელ ლუკმას ართმევდნენ საწყალ ხალხს და ღვინო ჩუმობით მიჰქონდათ მაშინ, როდესაც არამ თუ პური და ღვინო, ერთს წიწილასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამისთანა დროში. ამბობენ, ამ ზემოხსენებულ უსამართლოებაში არა მცირედი მონაწილეობა თვით სოფლის მოხელეებს მიუღიათ. როგორც შევიტყე, ამ საქმემ ბოლოს იქამდე მიახწიაო, რომ ბურჯაანის საზოგადოება სიღნაღში ასულიყო და ნაჩალნიკისთვის შემწეობა ეთხოვათ. ამასთანავე იქაური უწარჩინებულეს პირს თავ. რ. ა. თვით გუბერნატორისთვის განუცხადებია ეს ამბავიო და ის პირნი სამსახურიდგან დაუთხოვნიათ.

ერთს კახელების დამჩაგერელ ჩვეულებათაგანს აგრეთვე მათი დღეობები შეადგენს და მგონი სხვა საქართველოს ნაწილში არ იყოს ხალხი ამდენათ მიზიდული დღეობების და მკითხავებისაგან, როგორც ისინი. წარმოიდგინეთ, გათენდება თუ არა ბრწყინვალე აღდგომა, მოჰყვებიან და საშზღვარი აღარა აქვს. აღდგომა ხომ საყოველთაო დღესასწაულია, მაგრამ იმის შემდეგ მოჰყვება ველაწმინდობა, სამებობა, ყვირაცხოველობა, ქაშუეთობა, წამებულობა, ზღუდობა, ამაღლება, უსანეთობა, ბომართობა და კიდევ სხვა, ვინ მოსთვლის. ახლა ყველა ეს დღეობები სხვა და სხვა სოფლის საკუთრებას შეადგენს და რაკი რომლისამე სოფლის რიგი მოვა, მაშინ თქვენი მტერი — იმოდენი ხალხი რაკი სალოცავათ ანუ გასაძღომათ მოსულა, სულ იმ სოფელს ჩაუდგებიან ეს თითქმის ათასამდე კაცი, ზეკუცია არ არის, მარა უბედურებაა! მოდი ახლა, საწყალო გლეხკაცო, და ნუ ივალებ თუმანს თვეში მანეთათ და ნუ გაუძღვები შენს სტუმრებს! ისინი ხომ მჭადზედ არ დაკმაყოფილდებიან ან თითო თუნგ ღვინოზე არ დაგჯერდებიან, იმათ თუ კარგათ არ დალიეს, ხომ ვერ დაისწავლიან შენს პურ-მარილს! მაგრამ ეს უბედური მასპინძლები იმითი იმშვიდებენ გულს, რო მაინცა ამათი სოფლის დღეობაზე ისე ენდა გაეძღე, როგორც ჩვენებიანთ ნინიკაო!

ახლა ისიც ვიფიქროთ, რომ ზოგს თავის სალოცავი თითქმის ერთი კვირის სავალზე უძევს, და მოატანს თუ არა დრო, მიდის, იღებს ვალს ერთი ორად, ყიდულობს ცოლშვილისთვის სამოსელს, შეთქმულ ცხვარს ანუ მოზვერს, პურს, ღვინოს და აგრეთვე აძლევს ზოგიერთა ხარსა და ურემში ქერას და მიმგზაურობს, თითონაც არ იცის სადა. მაგრამ რა ქნას, თუ კი მკითხავმა უთხრა?

სხვა საქართველოს ნაწილებს არც თუ ქახეთი ჩამოუვარდება ქურდობით, ასე რომ კარგი გაძლიელებული ქურდობა ყოფილა თურმე; ერთმა ჩემმა ნაცნობმა მღვდელმა შემომჩივლა, რომ დღისით ეზოდგან ცხენი მომპარესო, და ამაზედ მეტი რაღა იქმნება? როგორც შევიტყე, ამ გვარ გაძრიელებული ქურდობის თაობაზედ განკარგულება მოუხდენიათ, რომ ვინცკი სოფელში შემჩნეული ჰყავთ ამ გვარ საქმეში, ყველანი აწერილიყვნენ და ეს ქურდების სია უნდა წარიდგინოსო სადაც რიგია. ეს გამოჩენილნი პირნი აუწერიათ კიდეც და შემდეგში რა იქნება — არ ვიცი.

ილ. ალხაზას-შვილი ჯურიკიძე

რუსეთი

✠ ერთს რუსულ გაზეთს გაუგონია, ვითომც მთავრობას განზრახვა აქვს, რომ საქალებო საშუალ სასწავლებლებში, სხვათა შორის, სახელმწიფო კანონების სწავლაც ვალდებულად გახადოს პროგრამმით.

✠ მთავრობისაგან დანიშნული იყო ცალკე კომისია, რომელსაც უნდა განეხილა რუსეთის საპყრობილეების მდგომარეობა და, თუ საჭიროდ დაინახავდა, ახალი წესდებულება გამოეცა ამის თაობაზე. როგორც გაზეთებში იწერებიან, კომისიას ნა-

---

ფარდაგს-ხალიჩებზედ ისხდნენ და ლაპარაკობდნენ ერთმანეთში ვინ იცის რაზედ. აქვე გაჩაღებულ ცეცხლზე შიშინობს მწვადები და ჩუხჩუხობენ ქვაბები.

ამ მწვანეზედ გაშალეს ლურჯი ჭრელი იარღლის სუფრები და აქეთ-იქიდამ აურიგ-ჩაურიგდნენ; მოსამსახურემ ჩამოატარა თუნგით წყალი და სპილენძის ტაშტი და ყველას ხელი დააბაინა. „მამაო ჩვენო“ ჰსთქვა დიაკონმა. აი მოემზადნენ პირის გაწკლაპუნებას, მაგრამ ამ დროს წამოდგა ერთი დედაკაცი, რომელიც ყველაზედ მეტად დარბაისლობას ჩემულობდა, და დაიძახა: „ძალებო! მოდით და ერთი კიდევ ჩავკლაკნოთ ჩვენი „ლაზარე“, და ესთხოვოთ გამჩენელს ღმერთს, რომ შეისმინოს ჩვენი ვედრება და მოსცეს ქვეყანას წმიდა, რომ არ დაიმშეს საქრისტიანო“.

ამ სიტყვებით აღძრული დედაკაცები წამოდგებიან და ყელ მოღერებით დაიწყებენ „ლაზარეს“ მღერას. ეხლა უფრო მეტის გრძნობით და ლაზათით იმღერიან, სანამ უწინ, როდესაც კარის-კარად დაიარებოდნენ: ბოზბაში და წითელი ნუნუა ახალისებს ამ ჩვენს დედაკაცებს.

ამის შემდეგ ასტეხეს ჩამჩების და ქაფქირის რახა-რუხი; დედაკაცები დამშეულ მგლებივით მიესივნენ თავთავის კერძს. წითელი ღვინით სავსე საქაშე ჯერ უფ. სუდიას მიართვეს, რომელიც დინჯათ წამოდგა ფეხზედ და დაილოცა: „ღმერთო დიდებულო, შენა ჰსწყალობდე აქა მბრძანებლებსა, უსმინე რასაც გეევედრებიან, შენი მადლისა და სახელის ჭირიმე“! მერმე მიუბრუნდება დედა-კაცებს: „ღმერთმა მიცოცხლოს თქვენი თავი; გისმინოთ ღმერთმა! მადლობა მამიხსენებია პატივის-ცემისათვის; ღმერთმა მეც შემაძლებინოს სამიგიეროს გადახდა“. ახლა კი ყველას ხელში გაუჩნდა ღვინით სავსე ჯამი და ასტყდა სასიამოვნო წრუტვა.

სანამ ყველა არ დაითრო, არაფერ წამომდგარა; რამდენიც დრო გადიოდა, იმდენათ ეს ჩვენი მოლხინე დედაკაცები ალერსიანს ჭიკჭიკთან და თან უმატებდნენ; ბოლოს ერთმა დარბაისელმა დედაკაცმა, რომელზედაც ღვინოს თითქოს არა ვითარი ყაელენა არ მოეხდინა, დაიძახა: „სუქა! თქვენ გასაწყვეტებო! რა ღმერთი გაგიწყრათ, ამ შინდის წუამ როგორ დაგაგიჟათ?. ერთი ვიმღეროთ“! და დაიწყეს ზემოთ ხსენებულის ლექსის სიმღერა; მერმე იმღერეს „მაყრული, სამგზაერო და ვინ იცის რა ღიღინები არა! „ბამო მზეო, გამიგონეც“ კი არ დააგდეს უმღერლათ.

როდესაც კარგა-რიგიანად გამოიბრუჟნენ, ყველა ტორტმანით წამოდგა. ზოგი, ვისაც საეტი აღარ ჰქონდა, წავიდა და მწვანეზედ გაგორდა, ზოგი ღობის ძირში მიწვა და ვინ იცის, ზოგი სად.

შემდეგ გაჩნდა დაირა, დაჰკრეს და უნდა გეყურებინათ მათს ტაშის ტყაპა-ტყუბზე და როგორი ძველებური ბასტი ჩამოუარეს უფრო ბებერმა დედაკაცებმა!!

როდესაც ყველა მოიღალა ტლინკვით და მუხლებიც აღარ უჯერებდნენ, — შეგროვდნენ ყველანი ერთად და „ლაზარეს“ სიმღერით გასწიეს მდინარისაკენ. აი მივიდა ერთი, უფრო ფეხ მარდი დედაკაცი მდინარესთან. შევარდა წყალში, შემოჰკრა ხელი ხელს და ჩაიყურყუმალავა შიგ; მერმე წამოდგა, გაიჭიმა მკლავები და დაუძახა თავის საკბილოს: „მოდი, ქა! ოორემ ეს არი!..“ მივარდებიან ერთმანეთს, იძიძგილავებენ ყვინჩილა მამლებივით და ბოლოს წაიქცევიან ორნივ წყალში...

აჰა, გათავდა ჭიდაობაც და გროვა-გროვათ წავიდ-წამოვიდნენ თავთავის უბნისაკენ.

აპრილის ნახევრიდამ შვიდ მაისამდის ღამის ნამიც არ ყოფილა, არამც თუ წვიმა. მაგრამ მეორე დღეს დილითვე — რვა მაისს თითქო მართლა „ლაზარემ“ გასჭრაო, დაიწყო ჭექა-ქუხილი და ისრეთი რიგიანი წვიმა მოვიდა, რომ მართლა შენი მოწონებული. ერთს კვირას ეს წვიმა არ შეწყვეტილა და თავ-მოტუსული სიცხისგან ყანები ისევ დაამშვენა და ორ კვირაზედ მუხლს მისცემსო, ამბობენ. სადაც მიიხედავდი, ყველგან რომელიმე დედა-კაცი იძახდა: „ვერ დავაქუხეთ, აი! ვენაცვალე ჩვენ ლაზარეს!“

პ. ჭალელი

ს. სამთავისი.

რუდგენია თავის ჰაზრი, რომ საპყრობილეების ზედამხედველობისათვის ცალკე სამინისტრო უნდა დაინიშნოსო; მაგრამ სახელმწიფო რჩევა ამ ჰაზრზე არ დათანხმებულა.

✱ გაზეთი „ნოვოროსსიის ტელეგრაფი“ გვაცნობებს, რომ იქაური რაბინის თანაშემწეს, უფ. მინდელკერნს, წარუდგენია მთავრობისათვის დასამტკიცებელად პროექტი ისეთი საზოგადოებისა, რომლის დანიშნულება იქნება, რომ ოდესსის ღარიბ ლიტ ერატორებსა და საზოგადოთ მწერლებს დაეხმაროს. ამბობენ, რომ ჯერ-ჯერობით 150 კაცს გამოუცხადებია ამ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღების სურვილი.

ქრონიკა

7

ქართლოსიანების მდგომარეობა მამათ-მთავრის ქართლოსის სიკვდილის შემდეგ.

ბედნიერი და ბრწყინვალე დასაწყისი აქვს ქართველ ხალხს. მამათ-მთავარი ქართლოსი რომ მოკვდა, ქართლოსიანების უფლად ახლა გახდა მისი მეუღლე დედა გაიანე. რადგან ქართლოსის დროსვე იყო შემოსული ჩვეულება, რომ ქმრის სიკვდილის შემდეგ სახლის უფროსობა ცოლს უნდა მისცემოდა, ამისათვის ქართლოსის სიკვდილის შემდეგ ის გახდა საქართველოს სიბდიენად (რეგენტათ). ქართლოსს ამ გაიანესაგან ჰყვანდა ხუთი შვილი: მცხეთოსი, ბარდაბოზი, ალბოსი, ალუხოსი და გაჩიოსი. ქმარი რომ მოუკვდა, ამ ქალმა, როგორც ქართლოსმა ანდერძით გადასწყვიტა, შეჰყარა ქართლოსიანების მოხუცნი და აღირჩია საქართველოში უფროს მამასახლისად მცხეთოსი. მცხეთოსი გმირიც იყო და ჭკვიანი კაციც; ამისათვის ყველა მამასახლისები ემორჩილებოდნენ და უყვარდათ ისრე, როგორც საკუთარი თავი. ამისი დედა და ის ისრე გონიერულად იქცეოდნენ, რომ ქართლოსიანები ფრიადის მშვიდობიანობით სცხოვრებდნენ და საქართველო აჰყვავდებოდა მათ კარგს მართველობის ქვეშ. ს ზრდო მრავალი იყო და ყოველი ქართველი იჯდა ლელვისა და ვაზის ჩრდილის ქვეშ და ფერხულით ქეიფს ეწეოდა. ყველა მცხოვრებს ჰქონდა პატარა ფაცხა და რადგან ბუნება ძლიერ მდიდარი იყო თავის მოსავლით, ამისათვის არავინ არაფერში არ საჭიროებდა. ადგილთა მათ ზამთრიცა შეიძლების ცხოვრებად უსახლოდ მცრედითაც ქოხითა ჩალათათა და ოდეს ყოველი ღონისაძიებელნი ცხოვრებისათვის კაცთასა სახმარნი მოიპოვნეს და შემოიკრიბნესო, ამბობს თავის ისტორიაში თეიმურაზ ბატონის-შვილი (გვერ. 41).

მცხეთოსისა და იმის დედის მმართველობის დროს საქართველო ძლიერ მოშენდა და ერი უფრო მოეწყო სამოქალაქო ცხოვრებით. ქართლოსის ქალაქს, სახელად „ქართლი“, იმან კიდევ მოუმატა და დაარქო თავისგან მომეტებულს ნაწილს თავისი სახელი მცხეთა. ამის შემდეგ მცხეთა გახდა საქართველოს დედა ქალაქად. მტკვრის პირად ამ ქალაქს ჰქონდა დამბა უბრალო თლილის ქვით მოკირწყლული. ახლა მცხეთა არის უბრალო სოფელი, რომელიც არის შესანიშნავი თავის ძველებური შენობების ნაშთით.

ამავე დროს მცხეთოსის დედამ და ძმებმა აღაშენეს სხვა ქალაქებიცა. დედა გაიანემ აღაშინა დედა ციხე და ბოსტან-ქალაქი, თფილისს ქვეით ჩრდილოეთისაკენ 15 ვერსის სიშორით. ამ ქალაქს შემდეგში ეწოდა რუსთავი. გ ა ჩ ი ო ს მ ა აღაშენა ქცია მდინარის პირზე ქ ა ლ ა ქ ი „სანადირო“. ამ ქალაქის ნანგრევები ახლაც იხილვებიან. ამანვე აღაშენა ქალაქი „ჩელთი“ ანუ „შილდა“. ეს ქალაქი ყოფილა ალბეთში ალაზნის გალმა მხარში, საცა ახლაც არის სოფელი სახელით შილდა და ამბობენ, რომ სტრაბონი იმას იცნობდა.

ამ სახით ქართლოსიანებმა მოაწყვეს მცხეთოსის დროს თავისი სამოქალაქო ცხოვრება, და რადგან მცხეთოსი ქვეყნისთვის კეთილის მსურველი კაცი იყო, ამისათვის სხვა მამასახლისები იმისთვის დაუკითხველად არას იწყობდნენ. ბოლოს ის ღრმად მოხუცდა და როცა მოკვდა, დასაფლავეს არმაზის მთაზე ქართლოსთან. აქვე დასაფლავეს აგრეთვე იმისი დედაცა.

იმას სიკვდილის შემდეგ დაჭრჩა სამი შვილი: უ ფ ლ ო ს ი, ო ძ რ ხ ო ს ი და ჯ ა ვ ა ხ ო ს ი. ამათ გაიყვეს მამისეული მამული სამ ნაწილად. უფლოსი, რადგან იყო მამის პირმშო შვილი, ამისათვის მცხეთაში დარჩა და წესისამებრ მიითვისა მამასახლისობითი უფროსობა და დაისაკუთრა ის მიწა-წყალი, რომელსაც ახლა შ ი დ ა ქ ა რ თ ლ ი ჰქვიან. ოძრხომ დაიჭირა ქ ვ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი, რომელიც შემდეგში შეადგენდა ორბელიანების მიწა-წყალს; ჯავახოსმა—ზ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი, მონგოლების მოსვლის შემდეგ წოდებული სამცხე-საათაბაგოდ. ეს ნაწილი ეხლა უჭირავს ოსმალეთს; აქ მცხოვრები ქართველები თუმცა თათროობენ, მაგრამ ქართული ენა ჯერაც აქვთ დაცვეწყებული. ამ სამმა ძმამ აღაშენეს ქალაქები: ო ძ ო ძ ხ ე, თ უ ხ ა რ ი ს ი, ც უ ნ დ ა, ა რ ტ ო ნ ი ს ი (ქაჯთა-ქალაქი) უ რ ბ ნ ი ს ი, და ქ ა ს პ ი.

ო ძ ო ძ ხ ე არის ახალციხის მახლობლად, თ უ ხ ა რ ი ს ი ჩოროყი მდინარის ახლოს ბურიაში, ა რ ტ ა ნ ი ს ი მტკვრის ხეობაში, და თურქები იმას ახლა ა რ დ ა გ ა ნ ს ეძახიან.

ყველაზე შესანიშნავი ამ დროს აშენებულს ქალაქებში არის უფლისციხე. ეს ქალაქი მდებარებს ახლანდელ ბორის ქალაქზე შვიდ ვერსის სიშორეზე აღმოსავლეთის მხრით. ის არის გამოკვეთილი დიდის ხელოვნებით კლდეში. მ წაველულებს ძალიან აკვირვებს იმისი ხელოვნება და ნაშთები. ის აღაშენა უფლოსმა. იმაში ყოფილა ბაზარი, სახლები და ქუჩები. ლეოლრაფი ვახუშტი 244 კაბადონზე ამბობს: „უფლის-ციხე არს შენობა უცხო, კლდისაგან გამოკვეთილი, პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებული კლდისაგანვე, გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკვრამდე, დიდი; დასავლით აქვს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკვეთილნი ქვაბნი მრავალ დიდნი, არამედ აწ შეუვალ არს: აქა არს ბუზნი, გამოსული იხილვების სპა-ლაშქარნი, შუბოსან-მშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშქრებულნი, ნიშვნენ მისნობად და უწოდებენ უფლის-ციხეს“.

შემდგომად მამის სიკვდილისა ამ უფლოსმა მიიღო უხუცესობის უფლება და სცხოვრებდა ამ გამოკვეთილს ქალაქში. ესეე ქალაქი შემდეგს დროში აღირჩიეს თავის სადგურად საქართველოს მეფეებმაც. აქ ხალხი სცხოვრებდა ჩინგიზ-ყაენის მოსვლამდე 1235 წლამდე.

მაგრამ უფლოსმა ის მედიდურება ვერ იქონია საქართველოში, რაც იმის მამას მცხეთოსს და პაპას ქართლოსსა ჰქონდა. „ქართლის ცხოვრება“ და თეიმურაზ ბატონის-შვილი ამბობენ, რომ ამის მიზეზი შეიქნა ერის გამრავლება და შურიო. უფლოსს აღარ ემორჩილებოდნენ: „იწყეს ბრძოლად დახდომად ურთიერთარს, და გაგაგრძელეს მათ შორის ბრძოლა.“ ხან ერთი დაიწყებდა ბრძოლას და მეორე შეეწეოდა, ხან ორნი ნათესავნი ერთად შეიყრებოდნენ და მესამეს ეომებოდნენ; ხან დაზავდებოდნენ, ხან ისევ ასტეხდნენ ლაშქრობას.

ამგვარს მდგომარეობაში გაატარა საქართველომ დრო ქართლოსისა და მცხეთოსის სიკვდილის შემდეგ, 2000 წლიდგან ვიდრე 1500 წლამდე; ესე იგი ხუთასი წელიწადი.

ამავე დროს სცხოვრებდნენ მამათ-მთავარი აბრაამი, ისაკი, იაკობი და წინასწარმეტყველი მოსე.

ინგილო ჯანაშვილი

საგაასო

რამოდენიმე სიტყვა უ. X-ის პასუხად

ძალიან სამწუხაროა ჩემთვის ისეთ კაცთან გამობაასება, რომელიც სცდილობს, სხვაც მოაშოროს პირ-და-პირ საქმეს და ძვირფასი დროება დააკარგვინოს; მაგრამ რა გაეწყობა, ამ ხელად პასუხი უნდა მიესცე იმ კორრესპონდენტს, რომელიც „დროების“ № 49-ში იმერეთის სამღვდელოების ყრილობაზე ლაპარაკობს და ცრუ სიტყვებით მიხსენიებს.

მე არ შევალ იმის ნაწერის თავიდამ ბოლომდის განხილვაში. მოვილაპარაკებ მხოლოდ იმ უსაფუძვლო ცარიელ სიტყვებზე, რომლებიც პირდა-პირ მე შემეხებიან.

უ. X რამოდენიმე უაზრო და უსაფუძვლო სიტყვების შემდეგ, იწყებს ლაპარაკს ჩემზედ იმერეთის სამღვდელოების ყრილობის თავსმჯდომარის შემდეგი სიტყვებით:

„თუმცა ეკონომიური ნაწილის გამგეობა სასწავლებლის ზედამხედველის მოვალეობა არის, §51 სასწავლებლის წესდების ძალით; მაგრამ რადგან ეს სასწავლებელი მრავალ შაგირდებიანი არის, ითხოვა სასწავლებლის ზედამხედველმა, რომ ეკონომი დაენიშნათ... ამიტომაც დაენიშნა ეკონომად სასწავლებლის მასწავლებელი უ. ცქიტიშვილი.“

ამ სიტყვებით, უფ. X ძალიან შეურაცხებას აძლევს იმ ყრილობის თავსმჯდომარეს: როგორი თავ მჯდომარეა ის კაცი, რომელსაც სასწავლებლის წესდების §51 მეტი არა სცოდნია! როგორი სასწავლებლის სამმართველოს წევრია ისა, რომელსაც არც ერთი დასკვნა უწმიდესი სინოდისა არ წაუკითხავს, სადაც ცხადი განმარტება არის სასწავლებლის წესდების ყველა §§-ისა და მაშასადამე §51, ისაც და რომლებშიაც ცხადად ურჩევს უწმინდესი სინოდი ამისთანა მრავალ შაგირდებიან სასწავლებლის სამმართველოს ეკონომის აღმორჩევას? ამ თქვენი მოყვანილი თავსმჯდომარის სიტყვებიდან გამოდის შემდეგი დასკვნა: იმას ან არ სცოდნია იმ ნაჩვენები §51 მეტი არც ერთი დასკვნა უწმინდესი სინოდისა და მაშასადამე უმეცარი ყოფილა თავის საქმეში და ან უწმინდესი სინოდის დასკვნები, სასწავლებლის ეკონომის აღმორჩევისა და სხვა საგნების შესახებ, იმას სამღვდელოების წინაშე დაუფარავს.

რატომ ვერ გაიგეთ, რომ სასწავლებლის ზედამხედველმა ითხოვა ეკონომის დანიშვნა უწმიდესი სინოდის დასკვნის ძალით და არა ისეთი უსაფუძვლო ფანტაზიის ძალით, როგორითაც თქვენ ისვრით ვაშლის ჩამოსაგდებ ჭოლოკვიით თქვენს უაზრო სიტყვებს?

„ეი აქ არის ოთხი წევრი სასწავლებლის სამმართველოსი და აირჩიეთ ერთი ვინმე ეკონომათ“,—ამბობს (ვითომ) თავსმჯდომარე.

თავსმჯდომარეს ეგრე კი არ უთქვამს, აი როგორ სთქვა: სასწავლებლის სამმართველოს წევრმა მ. ა. ბ—ძემ აღგვითქვა ეკონომის თანამდებობის მუქთად აღსრულება და გთხოვეთ, რადგანაც თვითონ ხშირად საბლაღოჩინოში დარჩება ხოლმე, დაუნიშნოთ მას თანაშემწედ უ. დ. ჭ—ძე, რადგანაც ისიც გეპირდება ამ თანამდებობის მუქთად აღსრულებას. ამოირჩიეთ ესენი და მეც ამათ ხელს მოუმართამ ეკონომობის აღსრულებაში.

სასწავლებლის სამმართველოს წევრმა მ. ა. ბ—ძემ ჟურები ცქვიტა; ეგონა, ეხლავ ამომირჩევენ ეკონომათაო. აქ სასწავლებლის ზედამხედველმა წარმოსთქვა თავისი ჰაზრი თავსმჯდომარისაგან წარდგენილი საეკონომო კაცების შესახებ.

დეპუტატებში შემდეგ ამისა ხმაურობა შეიქნა: ერთი ამბობდა, მილიონიც რომ მქონდეს, მაგათ მაინც არც ერთ კაპეიკს არ ჩაუგდებ ხელშიო; მეორე ამბობდა, მე უფრო დეთანხმდები იმაზე, რომ ცალკე პირს დაენიშნოს ორას-სამასი მანეთი და მაგას კი ეკონომათ ვერ ამოვირჩევო; მესამე—თუ მაგათ კეთილი

უნდოდესთ ჩვენთვის და სხვა არაფერს ფიქრობდნენ, ამისთანა საბლაფორთო საქმეს, როგორც ეკონომობა არის, ეგენი თავიანთ თავზე არ მიიღებენო.

ახლა თვითონ თქვენ იფიქრეთ, უ. X—, როგორ წავიდოდა მაშინ სასწავლებლის ეკონომია, რომ ერთი ეკონომი შორაპანში ყოფილიყო, მეორე—სოფ. ბანოჯაში, რომელიც რამოდენიმე ვერსით არის მოშორებული ქუთაისზე, მესამე—რაჭაში და სასწავლებელი კი ქუთაისში დარჩენილიყო!

უ. X—ს მოჰყავს სასწავლებლის სამმართველოს წევრის მ. ღ—მის შემდეგი სიტყვები:

„რაც რომ ეკონომათ არის უ. Cქიტიშვილი, მე ვაკვირდებოდი მის მოქმედებას, მაგრამ იმისთანა კარგი თვისება და მოქმედებაები ვერც ერთი ვერ ვნახე მასში, რასაც უ. ზედამხედველი ამბობს. ხშირად შემინიშნავს, რომ მკაცრი ყურადღება ეკონომიური არ ჰქონებია ზოგიერთ საგნებში.“

სწორედ სასაცილოა ეს სიტყვები. ბანა შეიძლება, რომ კაცი ერთ უეზდში იყოს და მეორე უეზდში კი უცქერიდეს იმას, თუ ვინ რას აკეთებს იქა? მართლაც რომ სასწავლებლის ეკონომს რაიმე საგანი უყურადღებოდ დაეგდო, მ. ღ—ძეს სად ჰქონდა იმდენი დრო, რომ ამაებს დაკვირვებოდა, როდესაც ის მოდიოდა Ქვირილიდან სასწავლებელში ღამით ცხრა საათზე და მეორე დილით ათ საათამდის უკანვე ბრუნდებოდა, და ისიც თვეში ორჯერ, ანუ სამჯერ; და თუ მაინცა და მაინც რაიმე უწესოება ნახა ეკონომიურ ნაწილში, რატომ მაშინვე არ უთხრა ეკონომს?

შემდგომ უფ. X— ამბობს: „კანონი მოითხოვს, რომ ეკონომი რასაც იყიდის ვისგანმე, მაშინვე უნდა ჩასწეროს; მაგრამ ეს მას არაოდეს არ აღუსრულებია. ერთი თვის ხარჯი მეორე თვეში ჩაწერილა ხოლმე.“

ესეც ტყუვილი მოხსენება არის და შენი ფანტაზიის მოგონებული. სასწავლებელის ეკონომი როდესაც სოფლის კაციდან იყიდდა რაიმეს და ან საწონზე რაიმეს აიღებდა, მაშინვე სწერდა წიგნში და ხელსაც მოაწერიებდა ფულების მიმღებს, და თუ აქაური მაღაზიებიდან, ან მედუქნეებიდან რაიმე მოჰქონდა ხშირად სასწავლებელისათვის უფულოთ, ამაებს კი თვის გასულს იანგარიშებდა, წიგნებშიაც გაიწერდა და ფულების მიღებაზე ხელსაც მოაწერიებდა გამოყიდველს.

ერთი თვის ხარჯი მეორე თვეში ჩაწერილა ხოლმეო, რომ ამბობთ, ეს იმისთანა ხარჯი ყოფილა, რომელიც სასწავლებელს ერთ თვეში უფულოთ უხარჯნია და მეორე თვეში იმის ფულები მიუცია. აი მაგ., იანვარში ნახარჯი პური მარტშია ჩაწერილი; თებერვალში და მარტში ნახარჯი კიდევ აპრილში და მაისში. ეს იმიტომ, რომ პურია, თუ რაც არის, ხარჯი მაშინ იწერება გასაელის წიგნში, როდესაც ფული გადის. თვითონ იფიქრეთ, ეკონომს რომ ერთ თვეში უფულოთ ნახარჯი ჩაეწერა წიგნში და გასავალში ეჩვენებია და მეორე თვეში იმის ფულები მიეცა და კიდევ გასავალში ჩაეწერა—ეს ეკონომობა იქნებოდა?

„ვინც რამდენ ფულსაც მიიღებს ნივთში, ხელი უნდა ჰქონდეს მოწერილი წიგნში, მაგრამ ესეც ხშირად არ არის მისგან ასრულებული“.

ხელის მოწერა საჭირო არის მაშინ, როდესაც ერთ მანეთზე მეტი იხარჯება, ხოლო ერთ მანეთამდის ეკონომს შეუძლია მიმღების ხელის მოუწერლათაც დახარჯოს. რადგან ჩვენს წიგნებში მანეთზე მეტი ნახარჯი, ყველა ხელმოწერილია, ამიტომაც ამ იმის წარმოთქმულ სიტყვებზე მე აღარა მეთქმისრა.

ს. Cქიტიშვილი

(დასასრული შემდეგში იქნება)

გ ა ს წ ო რ ე ბ ა. „ჩემგან გამოგზავნილს კორრესპონდენციაში, იმერეთის სამღვდელოების ყრილობის თაობაზე, რომელიც „დროების“ № 52 იყო დაბეჭდილი, შეცთომით მოხდა მეორე გვერდზე მეორე სვეტის მეცხრამეტე და მეოცე სტრიქონის შემდეგი სიტყვების დაწერა: „ჩემთან ჩამოვიდნენ ნ—ნი და უფ. მ ა—ნი.“ ეს შეცდომით არის დაწერილი და ნამდვილად ესე უნდა იყოს: „ჩემთან ჩამოვიდნენ; მე სიცხე მქონდა, ჟურნალზე ხელი მომაწერინეს“. ბოდიშ-ით უმორჩილესად ეს შეცთომის გასწორება თქვენს გაზეთში დაბეჭდვინოთ.„

X

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

თელავის სასულიერო სასწავლებლისაგან

§1. თუმცა თელავის სასულიერო სასწავლებელი დაბალი ხარისხის სასწავლებელია და თავის მოწაფეს აძლევს მხოლოდ თავდაპირველ სწავლასა, გარნა ეს სწავლა არ არის ურიგ-მარიგო, არამედ არის წესზედ წყობილი ანუ სისტემატიკური.

§2. ამისთვის პირველ კლასშიევ ამა სასწავლებლისა მიიღება მხოლოდ მომზადებული და იმდენათ მომზადებული ხნით და სწავლით, რომ შეეძლოს სმენა და მითვისება წესზედ წყობილი სწავლისა, რომელიც მას გარდაეცემა ხსენებულ კლასში.

§3 პირველ კლასში შემომავალი უნდა იყვეს არა ნაკლები ცხრა წლის ნახევრისა (9 ½ წ.) და არა მეტი თორმეტ წლინახევრისა (12½ წ.), უნდა იცოდეს აზრიანათ და შესმენით კითხვა და წერა ქართულად, სუმბუქი, ანუ ცოტაოდენი ლაპარაკი, რამდენადმე საამური და კანონიერად კითხვა და წერვა რუსულად, მუდამ სახმარებელი ლოცვები, პირველ-დაწყებითი ქრისტიანული სწავლა და პირველი ორი მოქმედება არითმეტიკისა (რიცხვთ შეერთება და გამორიცხვა), რიცხვთა სამმრავლებელი ტაბლიცითურთ.

§4. მეორე, მესამე და მეოთხე კლასში შემოსასვლელისაგან მოითხოვება ამა კლასსების შესაფერო წლოვანობა და განსწავლულება. კლასსების შესაფერო წლოვანება შეიძლება თვითონ მკითხველმაც გამოიანგარიშოს შემდეგ მე-3§-ში ნათქომისა და რაკი ვაცნობებთ, რომ მეოთხე კლასსის შემასრულებელს უნდა ჰქონდეს არა-ნაკლებ წელიწად ნახევარზედ (13½ წ.) ნაკლები — და არა თექვსმეტ წელიწად ნახევარზედ (16½ წ.) მეტი ხანი, ჩამოთვლილი კლასსების შესაფერო ცოდნის განსასზღვრებით ჩვენება კი ძნელია; ის შეიძლება მსურველმა შეიტყოს თავის დროზედ თვით სასწავლებლის მმართველობისაგან და მასწავლებლებისაგან.

§5. შემოსელა, ანუ მიღება თვითეულ ოთხ-კლასსთაგანში შეიძლება მხოლოდ სწავლის წლის დასაწყისში და დაწესებული ეგზამენის დაჭერით.

§6. ᲔᲒᲖᲐᲛᲔᲜᲘᲐᲡ დაჭერინებს სასწავლებლის მმართველობა იმ მასწავლებელთ თანა-მონაწილეობით, რომელ საგნებშიაც შემოსასველი უნდა გამოიცადოს.

§7. სასწავლებელში შემომსველის ეგზამენიაში მისაშვებელად უნდა თავის დროზედ თხოვნა მოიცეს სასწავლებლის ზედამხედველის (სმოტრიტლის) სახელ-გვარზედ. Uკანასკნელი ვადა თხოვნის მოცემისა არის 23 აგვისტო; თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მოწმობა ცოდნის ქონვისა და ყოფა ქცევისა, თუ შემოსასველელს სასწავლებელში სადმე უსწავლია, ანუ მხოლოდ მეტრიჩესკის მოწმობა, გინა მისი პირი, თუ შემოსასველელი პირი სასწავლებელში არსად ყოფილა და პირ-და-პირ სახლიდგან მოდის.

§8. ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ რჯულიერნი პირობების შემასრულებელი, თუ გინდ სასულიერო წოდების და უწყების პირის შვილი იყოს და თუგინდ სოხორციელოსი, მაინც მიიღება სასწავლებელში და ჩითვლება ნამდვილ მოწაფეთ, მხოლოდ არა-სასულიერო წოდების და ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ პირის შვილს სასწავლებელი ფულს გამოართმევს.

§9 ᲘᲡ ფული იმდენი იქმნება, რამდენსაც ადგილობრივ სახორციელო უეზდის სასწავლებელში იღებენ; ნახევარი ამ ფულისა შემოიტანება სწავლის წლის დამდეგ და ნახევარი მეორე ნახევრის დამდეგ.

სწავლებლის ზედამხედველი ს. ᲚᲐᲤᲔᲠᲝᲕᲘ

გამოვიდა და ისყიდება
ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ
მოთხრობა Დ. ᲭᲝᲜᲥᲐᲫᲘᲡᲐ.
ფასი ერთი აბაზი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	11	18	8					
მცხეთა. . .	18	87	10	—	-	68	-	38
ბორი . .	91	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
Ქვირილა .	6	49			5	81	3	23
ქუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია .	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ქუთაისი .	11	17			3	4	1	69
Ქვირილ. .	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
თფილისი	10	49	8	2	9	75	5	42

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ

ა) ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:
ᲚᲔᲓᲔᲡᲘᲡᲙᲔᲜ—ორშაბ.დილის 8 საათ
სტამბოლს—კვირაობით დილას.
ბ) ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲓᲐᲛ:
ᲤᲝᲗᲘᲡ—სამშაბ.ს, ღამით.
ᲚᲔᲓᲔᲡᲐᲡ—კვირას, გათენებისას.

ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ᲚᲔᲓᲔᲡᲐᲛᲓᲘ.	38	„	30	„	9	60

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

ᲚᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ᲚᲔᲓᲔᲡᲐ მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ᲚᲘᲗᲕᲐᲚᲔᲗᲨᲘ, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ᲚᲔᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ᲙᲐᲮᲔᲗᲡ — სამშ. და შაბ.

ბ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ:
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ და ᲤᲝᲗᲘᲡᲙᲔᲜ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ᲚᲔᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ᲑᲝᲠᲘᲓᲐᲛ.
ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

დ) ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:
ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში:	კაპ
ᲦᲘᲐ წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	10

ᲑᲘᲠᲭᲐ

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 23 მაისს.		
ერთი მანეთი ღირს:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 33 1/32 პენსი.	—	84
პარიჟში 348 სანტიმი.	—	89
ᲔᲡᲙᲝᲜᲢᲘ(სარგებლისფასი)	6	-
ბანკის ბილეთი 5%	100	—
მოგებიანი(პირველისესხი)	206	75
მოგებიანი (მეორე სესხი)	202	50
ᲑᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ:		
ᲗᲤᲘᲚ. საᲐᲖᲜ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის (5½)	88	17
მოსკოვის (5%). . . .	86	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲚᲔᲓᲔᲡᲘᲡ სავაჭრო ბანკის.	222	—
ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚ რკინ. გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	მან	კაპ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 27 მაისს		
პური შორაგალის ფთ.	1	20
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა Ერევნისა, ფუთი .	4	50
— ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ფუთი. .	6	65
ბაპინტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	6	50
— ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ფთ. .	3	60
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ნუხური გრ.	2	60
ᲭᲝᲜᲘ, ფუთი. . .	4	—
ᲭᲝᲜᲘᲡ სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ᲮᲝᲠᲪᲘ ძროხისა, ლიტ.	—	60
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	70
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	45
— ფხვნილი ფუთი . .	6	90
ᲣᲐᲕᲐ გრგვალი ფუთი .	18	50
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	50
ᲚᲭᲝᲠᲝ 1/2 იმპერიალი. .	5	85

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Мая 1875 г. Типографія Меликова и К°. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.